



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი  
აღარ 1  
№2 (413)  
(5776)  
2016

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

დადგენილება  
ივანე მაჩაბელის სახელობის პრემია მიენიჭა  
**რუბენ ენოსს**

ქართული მწერლობის თარგმანისა და პოპულარიზაციისთვის  
ებრაულ ენაზე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის  
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე  
თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი

ივანე მაჩაბელის სახელობის პრემია მიენიჭა  
**ორციონ ბართანას**

ქართული მწერლობის თარგმანისა და პოპულარიზაციისთვის  
ებრაულ ენაზე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის  
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე  
თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი

### დღეს ნომერშია:



**თბილისში აღინიშნა ჰოლოკოსტის  
მსხვერპლთა ხსოვნის  
სამართაშორისო დღე** **გვ. 2**

**რუბენ ენუქაშვილი – ენოსი – 70**

ღვაწლმოსილ მწვინერს საიუბილეო თარიღს ულოცავენ

ქართველი და ისრაელელი მწვინერები, საზოგადო მოღვაწენი **გვ. 3-6**



**თორის როველ თავს  
ვკითხულობთ ამ კვირაში?** **გვ. 7**

**ვინ არის ყველაზე მდიდარი  
ებრაელი მსოფლიოში?** **გვ. 7**

**დანი დანონი: გაეროში ყოველდღიურად  
ვაფუძები ანთისემიტიზმს** **გვ. 7**



**თბილისში გაიხსნა რაბი აბრამ ხვოლესი-  
სა და რაბი გაბრიელ დავარაშვილის სახ-  
ელობის იუმივა** **გვ. 8**

**ებრაული არაფორმალური განათლების  
მე-6 კონფერენცია თბილისში ჩატარდა** **გვ. 8**

# ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე თბილისში

27 იანვარს ჩატარდა ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ორი ღონისძიება:

- 1) ოფიციალური ცერემონიალი (ორგანიზატორები :სახალხო დამცველის ოფისი და საერთაშორისო ფონდი „ლეა“, მხარდამჭერები, ამერიკის და ისრაელის საელჩოები)
- 2) იტალიური მხატვრული ფილმის „სასტუმრო მოვიე“ ჩვენება. ორგანიზატორები: იტალიის საელჩო საქართველოში და საერთაშორისო ფონდი „ლეა“, მხარდამჭერი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ჰოლოკოსტის ხსოვნის დღედ 27 იანვარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 2005 წლის 42-ე პლენარულ სხდომაზე გამოაცხადა, რადგან 1945 წლის ამ დღეს აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ათასობით ტყვე გათავისუფლდა.

ოფიციალური ცერემონიალი სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და საერთაშორისო ფონდ „ლეას“ ებრაელ ქალთა საერთაშორისო საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.

მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთ, იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებიც 1933-1945 წლებში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების ქმედებებს შეეწირნენ.

სიტყვით გამოვიდნენ და ჰოლოკოსტის მსხვერპლები გაიხსენეს საქართველოს სახალხო დამცველმა, **უჩა ნანუაშვილმა**, საერთაშორისო ფონდ ლეას ხელმძღვანელმა **მარინე სოლომონიშვილმა**, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **იანოშ ჰერმანმა**, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა **ნილს სკოტმა**, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ივვალ ფუქსმა**, პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ანდრჟეი ჩიეშკოვსკიმ**, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **იან კროფფორდ კელიმ**. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა **კახა კოყორიძემ** ჰოლოკოსტის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი პრეზიდენტის სიტყვა ნაიკითხა.

„ჰოლოკოსტამდე სხვათა სიძულვილმა, საკუთარი გამორჩეულობისა და უპირატესობის უპირობო, აბსოლუტურმა რწმენამ მიგვიყვანა. ჩვენ წამით არ უნდა მოვადღუწოთ ყურადღება ბოროტების, ჩაგვრის, თავისუფლების ხელყოფის უმცირესი გამოვლინებებისადმი და საფუძვლებშივე წინ აღვუდგეთ მათ სიყვარულით, თანადგომით, ურთიერთპატივისცემით. დღეს ჩვენ ვერაფრით მივაგებთ უფრო დიდ პატივს ჰოლოკოსტის გმირთა ნათელ ხსოვნას, თუ არა ისეთი მომავლის შენებით, სადაც ჩვენი შვილები, მომავალი თაობა მშვიდობის, კეთილდღეობისა და განვითარების გარემოში, ისეთ სამყაროში იცხოვრებს, სადაც ჰოლოკოსტი შეუძლებელია, – ნათქვამია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებაში.

— ჩვენ გვჯერა, რომ ამ დღის აღნიშვნა არა მხოლოდ ხსოვნის, არამედ დაფიქრების მიზანს ემსახურება... ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ტოლერანტობისა და მშვიდობის პრინციპების დასაცავად ბრძოლა სწორედ ის უმთავრესი იარაღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევძელით, და შეგვწევს ძალა, გადავარჩინოთ ადამიანური ღირსება, გადავარჩინოთ ადამიანის მარადიული სწრაფვა იცხოვროს თავისუფალმა და იცხოვროს ღირსეულად, – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

— „ჰოლოკოსტის იყო გადამწყვეტი მომენტი ისტორიაში, რითაც მსოფლიოს ებრაელობამ თქვა „აღარასოდეს დავუშვავთ ებრაელთა ჰოლოკოსტი“, ... ასევე, გვახსოვდეს ისინი, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ებრაელები და სხვანი“, თორაში ნათქვამია „მან ვინც იხსნა ერთი სიცოცხლე-გადაარჩინა სამყარო“-ამბობს საერთაშორისო ფონდი ლეას პრეზიდენტი — მარინე სოლომონიშვილი.

— არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი მსხვერპლის უკან კონკრეტული სახელი იდგა, იდგა ტრაგედია ნაადრევი სიკვდილისა, განუხორციელებელი მომავლისა, განადგურებული ოჯახისა და მარადიული სიყვარულისა... „ჰოლოკოსტს გადარჩენილებმა ეს სამყარო უკეთეს ადგილად აქციეს“, – ამბობს ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი.

— ჩემი ძმისშვილი, რომელსაც 19 წელი შეუსრულდა, ცოტა ხნის წინ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკს ეწვია და იქ იპოვა იმ ოჯახის წევრთა სახელები და გვარები, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკს ვერ გადაურჩნენ. ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ყოველ წელს სულ უფრო ცოტა ადამიანი რჩება, რომლებმაც ოსვენციმის ბანაკს ცოცხლად დააღწიეს თავი და შეუძლიათ თავიანთი ამბების მოყოლა. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გად-



მოვცეთ ეს ამბები, გვახსოვდეს ჰოლოკოსტი, ვასწავლოთ ჰოლოკოსტი და შევისწავლოთ ჰოლოკოსტი, – ამბობს ისრაელის ელჩი საქართველოში ივვალ ფუქსი.

— ...ებრაელების ჰოლოკოსტის ტრაგიკული ისტორია უკავშირდება ყველა ჩვენგანს და ჩვენ ვიხსენებთ ამ დღეს, რათა ეს საზარელი ქმედება კაცობრიობის წინააღმდეგ არასდროს განმეორდეს. ჩვენ ასევე ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც იცავდნენ ებრაელებს ნაცისტებისგან. იმ დროს, ებრაელისთვის ნებისმიერი დახმარების განწევისთვის, ეს ადამიანები და მათი ოჯახები სიკვდილით ისჯებოდნენ. ამის მიუხედავად, პოლონელებს შორის ყველაზე მეტი ადამიანი იყო, ვინც ეხმარებოდა ებრაელებს ჰოლოკოსტის დროს-ამბობს პოლონეთის ელჩი ელჩი საქართველოში ანდრჟეი ჩიეშკოვსკი.

ღონისძიების მონაწილეებმა მენორაზე სათლელი აანთეს და პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის დროს დაღუპულ 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშას და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას. დასასრულს, **რაბი ავიმელეხ როზენბლატმა** დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი ლოცვა ნაიკითხა.

ღონისძიებაზე ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით, წარმოდგენილი იყო ფოტო-გამოფენა ჰოლოკოსტის თემაზე. ასევე, წარმოდგენილი იყო საკონცენტრაციო ბანაკის აუშვიც — ბირკენაუის ფოტოების და მარინე სოლომონიშვილის გრაფიკული ნახატების ვირტუალური ჩვენება.ამავე თემაზე, წარმოდგენილი იყო მარინე სოლომონიშვილის ნახატების გამოფენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების, დიპლომატიური კორპუსის, სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური სათემოების, ებრაული და ქართული ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“, და საქართველოში ისრაელის საელჩო.

\*\*\*

იმავე დღეს გაიმართა ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მეორე ღონისძიება — მხატვრული ფილმის „სასტუმრო მოვიე“-ს ჩვენება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ფონდი „ლეა“, ებრაელ ქალთა საბჭო და იტალიის საელჩო საქართველოში. გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ იტალიის ელჩი, ანტონიო ენრიკე ბარტოლი და საერთაშორისო ფონდი „ლეა“-ს პრეზიდენტი მარინე სოლომონიშვილი.

აღინიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის ჰოლოკოსტის განათლება, როგორც საგანმანათლებლო კურსებით, ასევე, ხელოვნების მეშვეობით. ღონისძიებას ესწრებოდნენ ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საერთაშორისო ფონდი ლეაგერაელ ქალთა საბჭოს ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი თამარ ქოსაშვილი ფილმის ჩვენების შემდეგ აღნიშნავს, მისთვის და მისი ოჯახისთვის 27 იანვარი, ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღე განსაკუთრებით მტკივნეული და, ამასთანავე, მნიშვნელოვანია:

— მე ებრაელი ვარ და 1933-45 წლებში დაღუპული 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლეს განვიცდი. ძალიან დიდ ტკივილია ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის და ჰოლოკოსტის ამბავს ყოველთვის დიდი მწუხარებით ვიხსენებ. ჰოლოკოსტი ჩემთვის პირველ რიგში, თავისუფლების შეზღუდვის გამოხატულებაა.

სინოფსისი: იტალიელი რეჟისორის კარლო ლიცანის ფილმი „სასტუმრო მოვიე“ გადაღებულია 2007 წელს მარკო ნოცას რომანის მიხედვით და მას საფუძვლად უდევს მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიაში ებრაელთა გენოციდის ერთ-ერთი რეალური და მივიწყებული ეპიზოდი. მილანის მახლობლად, ლაგო მაჯორესთან მდებარე სასტუმრო ეინა-ში გაჩერებული ებრაელი სტუმრების ბედი დრამატულად იცვლება იტალიასა და მოკავშირეებს შორის დადებული ზავის შემდგომ, როდესაც რეგიონში გერმანული დივიზიონი შემოდის. როლებში ბენჯამინ სადლერი და ფედერიკო კოსტანტინი.



# რუბენ ენუქაშვილი — ენოხი — 70

მინდა გულწრფელად მივულოცო პროფესორ რუბენ ენოხს (ენუქაშვილს) დაბადებიდან 70 წელი. მიხარია, რომ ბატონი რუბენი წარმატებით მოღვაწეობს ისრაელში. იგი გამორჩეულია საქართველოდან ამოსულთა შორის. გამორჩეულია, უპირველესად ყოვლისა, თავისი საქართველოსადმი დამოკიდებულებით. მან, შესანიშნავმა ენათმეცნიერმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ იგი ფილოლოგიის ფაკულტეტზე მეცნიერულ მოღვაწეობას სერიოზულ ორგანიზაციულ საქმიანობას უთავსებდა; იყო მეცნიერებისა და სასწავლო პროცესის თავგამოდებული ორგანიზატორი. მას დღეს-დღეობითაც არ დაუვინწყებია საქართველო. ხშირად სტუმრობს და ეს მისიაც სამეცნიერო და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობითაა გაჯერებული.

არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ პროფესორი რუბენ ენოხი არიელის უნივერსიტეტში გამოჩინებული, ავტორიტეტული მეცნიერი და ლექტორია.

მინდა ვუსურვო 70 წლის რუბენ ენოხს ახალი წარმატებები, ჯანმრთელობა და ოჯახური ბედნიერება. მჯერა — ბატონი რუბენი სამაგალითო იქნება საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობის, ამ ორი ერის დიდი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

**როინ მატრაქელი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი



მთელი ცხოვრება საქართველოს ებრაელთა ცხოვრებით ცხოვრობს. მეოცე საუკუნის ქართველი ებრაელობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, რომელმაც ზედმიწევნით იცის საქართველოს ისტორია და ქართული ენა. და ყველაფერი ეს სრულყოფილად ისევე, როგორც სრულყოფილად იცნობს საქართველოს ებრაელთა კულტურასა და ენას. და ასე წარმოგვიდგება იგი გამოჩინებულ ფილოლოგად, რომლის მსგავსად ცოტამ თუ იცის ქართული ენა და მისი საიდუმლოებანი.

მან დიდი სახელი მოიპოვა საქართველოს სამეცნიერო წრეებში და მას შემდეგ, რაც ისრაელში ამოვიდა, ან უკვე მთელი თაობის განმავლობაში ისრაელის მეცნიერებაშიც ასევე განაგრძობს არანაკლები წარმატებით. იგი არაჩვეულებრივი მაგალითია დიდად განათლებული ებრაელი მოღვაწისა, რომელიც გამორჩეულია თავისი ხალხის ისტორიაში ისევე, როგორც იმ ქვეყნის საზოგადოებასა და კულტურაში, სადაც იგი ცხოვრობდა. ესაა ზეობა მაღალნიჭიერებისა, რომელსაც ჩვენ დღენიანად ვეძებთ ქვეყნიერების ყოველ ადგილას და, რა თქმა უნდა, ისრაელში. თუკი გსურთ შეიცნოთ, რომ არ არსებობს მსოფლიოს კულტურა ებრაელის გარეშე, ჩაუღრმავდით პროფ. რეუენ ენოხის შემოქმედებას.

ასე იღვანა და ასე აგრძელებს მოღვაწეობას მთელი ძალ-ღონით დღესაც. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მჩქეფარე ნაკადული არ დაშრება მრავალი წლის განმავლობაში. ამენ!

**ორციონ ბართანა**

არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, ებრაული მემკვიდრეობის მაგისტრატურის ხელმძღვანელი, ისრაელის უმაღლესი განათლების საბჭოს წევრი

იერუსალიმში წელიწადი ჩვეულებრივზე მოკლეა, შესაბამისად დროც უფრო სწრაფად მიჰქრის... აბა, სხვანაირად როგორ გავიგო, რომ ჭაბუკი, რომელიც თამაშობს (რალა დაგიმალეთ) წონადაკლებული მახსოვს, დღეს სამოცდაათისაა! დრო თუ უფრო სწრაფად მიდის, ნაყოფიც უფრო სწრაფად მნიფდება... ალბათ, ამით თუ აიხსნება ის, რისი გაკეთებაც მოასწრო რუბენ ენუქაშვილმა თავის კვლევით საქმიანობაში ამ ოციოდე წლის განმავლობაში ისრაელში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენო ისრაელის ყველაზე ახალგაზრდა უნივერსიტეტში, შომრონის ბიბლიურ ოლქში რომ დაარსდა, ჰუმანიტარული მეცნიერების სულ ახალი დარგის ჩამოყალიბება. მე ვგულისხმობ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებებს. ეს თემა ბატონ რუბენს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან იტაცებდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ამგვარ პრობლემებზე მუშაობა დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული... ისრაელში კი ამ მიმართულებით კვლევამ რეალური ხორცი შეისხა.

საერთოდ ცნობილია, რომ ებრაელთა განთესვის ზოგიერთ თემში საუკუნეების მანძილზე ადგილობრივი ენების საკუთრივ ებრაული ვარიანტები იყო შემუშავებული. ეროვნული ლინგვისტური ტრადიცია ამგვარ ეთნო-სოციალურ ფენომენს ებრაულ ენებს უწოდებს. ასეთია, მაგ., ესპანელ ებრაელთა ენა — ლადინო — რომელიც მე-16 საუკუნის კასტილიის დილექტს ეყრდნობა, დღესაც მის გრამატიკულ ფორმებს ინახავს და ივრითიდან შემოსულ (თუ შენარჩუნებულ) მრავალ სიტყვას მოიცავს.

ასეთია გერმანელ ებრაელთა, აშკენაზების, ენა — იდიში — რომელიც ზემოგერმანულ დილექტების საფუძველზე წარმოიშვა და ივრითულთან ერთად უამრავ სლავურ სიტყვას იყენებს. არიელის უნივერსიტეტის პროფესორის რეუენ ენოხის

გამოკვლევებითა და ივრითულ ენაზე პუბლიკაციებით დამტკიცდა, რომ ამ რიგის ფენომენი ქართველ ებრაელებსაც შეუქმნიათ. ეს ისრაელის იუდაისტისათვის, ე. ი. ებრაელებისა და ებრაელობის შესახებ მეცნიერებისათვის საკვებით მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩენა იყო. ამგვარი ებრაული ენების არსებობა გარკვეული სოციალური ფაქტორებით იყო გაპირობებული. თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ამისთვის საჭირო პირობები თითქმის გაქრობის გზაზე დგას. და სხვა ენებზე დამყარებულ ებრაულ ენებსაც გაქრობა ემუქრება. ამ მხრივ იდიშიც და ლადინოც უკეთეს მდგომარეობაშია. ჯერ ერთი ამ ორივე ენაზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაშინ როდესაც „ყივრული“ მხოლოდ ზეპირი ტრადიციით თუ არის გაშვებული. ამასთანავე დღესდღეობით ისრაელში ლადინოსა და იდიშის მოყვარულთა და დამცველთა საზოგადოება არსებობს. ყივრული კი მხოლოდ ზოგიერთ ოჯახში, ისიც უფროს თაობაში თუ განაგრძობს არსებობას... ამდენად რუბენ ენუქაშვილის პუბლიკაციები ამ ფენომენის ფიქსაციის სულ ბოლო ცდას წარმოადგენს.

ასეთივე ღირებულებისაა ენუქაშვილის გამოკვლევათა მეორე მიმართულება. მეთექვსმეტე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ჯამათის რაბინებმა თითქმის ერთდროულად ქართულად თარგმნეს მოსეს ხუთნიგნეული — ხუმაში. ეს იყო თემის უდიდესი ინტელექტუალური მიღწევა. თარგმანი შესრულებულია დედნის ენის, ივრითის, ანუ ებრაული ტრადიციით — ნმინდა ენის, ლამონ ჰაკოდემ-ის ღრმა ცოდნით და ამავე დროს ირკვევა, რომ იმ დროის რაბინები ბრწყინვალედ ფლობდნენ ქართულ ენას. ამ გზით თემის ახალმა თაობებმა, რომლებმაც იმ დროისათვის, როგორც ითვლება, დაივიწყეს ივრითი და მთლიანად ქართულზე გა-

დავიდნენ, საშუალება მიიღეს საღვთო სიტყვა მათთვის გასაგებ ენაზე მოისმინონ, ისიც დედანთან მაქსიმალურად დაახლოებულ თარგმანში. ამავე დროს ეს იყო ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების ეპოქა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში ქართულ ენას, როგორც ქრისტიანობის ენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. და აი, ამ პირობებში ამის აქეთ ქართველი ებრაელის ლოცვა სინაგოგიდან ნაწილობრივად მაინც — ქართულად ისმოდა. ეს იყო ზეპირი თარგმანი — თავსილი — რომელიც რაბინთა თაობებში მასწავლებლიდან მოწაფეს ზეპირი გზით გადაცემებოდა... ასე ათასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მე-20 საუკუნეში კი თემის უმრავლესობა ისრაელში ამოვიდა, ებრაელები წინაპართა ენას დაუბრუნდნენ და დღეს ლოცვას ივრითულად ითქვიან... თავსილი კი თემის ისტორიისა და ინტელექტუალური ცხოვრების ძეგლად დარჩა და სულ მალე ალბათ, საერთოდ დაიკარგებოდა. რუბენ ენუქაშვილმა სულ ბოლო წუთს მოასწრო ხუმაში პირველი წიგნის — ბერეშითის — ჩაწერა და გამოქვეყნება და ამით ნამდვილად გადაარჩინა იგი...

წინამდებარე სტრიქონები სულაც არ წარმოადგენს რუბენ ენუქაშვილის სამეცნიერო ბიოგრაფიას — ამისთვის ჯერ ადრეა. მე მხოლოდ მსურს მივულოცო მას ამ გზაზე წინსვლა და ახალი მიღწევები, მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო მის პირველ მსმენელს და მრჩეველს დედიკოს, ქალბატონ ლუბას, მის მეუღლეს ინგას და სამივეს ვუსურვო იმ ბედნიერ დღეთა სიმრავლე, როდესაც ოჯახს იერუსალიმში შვილები და შვილიშვილები ესტუმრებიან ხოლმე, ვინ ამერიკიდან და ვინ კიდევ თბილისიდან.

**კოტე ლარნარი**  
პროფესორი

### ხიდი

ჩვენს თანამედროვე ქართველ ებრაელთა შორის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებითა და უდიდესი მონდომებით განაგრძობენ აქტიურ საქმიანობას ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად მყარად დამკვიდრებული მეგობრული ერთობის განსამტკიცებლად და კიდევ უფრო მეტად გასაღრმავებლად, უსათუოდ უნდა დავასახელოთ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი რუბენ ენუქაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით იგი ძალზე აქტიურ საქმიანობას საქართველოში ცხოვრების დროსაც ეწეოდა, მისმა ამ მოღვაწეობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მაინც მის ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრების შემდეგ შეიძინა.

ასე იქცა იგი არა მარტო ორი მეგობარი ხალხის, არამედ ორი სახელმწიფოს – საქართველოსა და ისრაელის – ერთმანეთთან შემაკავშირებელ ხიდად. რუბენ ენუქაშვილის საზოგადოებრივი ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამაში უყოყმანოდ დამეთანხმება ყველა, ვინც მის მიერ ამ მიმართულებით განეულ საქმიანობას იცნობს.

მიუხედავად ისტორიულ სამშობლოში ცხოვრებისა, ბატონი რუბენი არა მარტო სამეცნიერო საქმიანობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობითა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან, არამედ თავისი დიდი ოჯახის ერთი განმტკიცებელიც კერძოდ, მისი ვაჟი თავის ცოლ-შვილთან ერთად კვლავაც საქართველოში აგრძელებს ცხოვრებას და საქმიანობას. როგორც თუნდაც ამ ფაქტითაც თვალნათლივ ჩანს, ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარული მან მის შვილებსა და შვილიშვილებს ისე ღრმად და სისხლბორცეულად ჩაუნერგა, რომ მათთვის ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მამისა და ბაბუის ყოფილი სამშობლო კი არ არის, არამედ მათი ნილხვედრი მამულიცაა; ქართული ენა კი მათთვისაც ისევე მშობლიურია და ძვირფასი, როგორც ებრაული.

ამ პატარა, საიუბილეოდ ნათქვამ მისასალმებელ სიტყვაში ძნელია კაცმა თუნდაც სქემატურადაც კი გაიხსენოს ის დიდი საქმეები, რასაც ბატონი რუბენი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში აკეთებდა ორი ხალხის ისტორიული ძმობისა და მეგობრობის კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად. მაინც შევეცდები თუნდაც ზოგიერთ მათგანს რომ მივაპყრო მკითხველის ყურადღება:

– გარდა იმისა, რომ საქართველოში ცხოვრების პერიოდში ბატონი რუბენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, თავისი ტელეექსპერტით იგი თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ასწავლიდა მთელი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას ქართულ ენას;

– თავისი მეცნიერული მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად მან სტუდენტობიდანვე გაიხადა როგორც ქართული ენის, ისე ქართველ ებრაელთა ქართული მეტყველების საფუძვლიანი კვლევა და არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიითა და ენათმეცნიერულად ძალზე ფასეული სამეცნიერო ნაშრომით გაამდიდრა ქართველოლოგია. აღნიშნული პრობლემატიკის მეცნიერული კვლევა ბატონმა რუბენმა ისრაელში დამკვიდრების შემდეგ კიდევ უფრო მასშტაბურად განაგრძო და ამ მიმართულებით განეულიკვლევა-ძიების შედეგებს იგი არა მარტო თავის წიგნებსა და სხვადასხვა პერიოდულ

გამოცემებში აქვეყნებს სისტემატურად, არამედ ქართველოლოგიურ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზეც სისტემატურად გამოაქვს ძალზე საინტერესო მოხსენებებად როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში;

– ისრაელში დამკვიდრების შემდეგ ბატონმა რუბენმა ასევე ძალზე ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთან ისტორიულ სამშობლოში საცხოვრებლად ასულ ქართველ ებრაელთა კავშირ-ურთიერთობის კვლავაც შესანარჩუნებლად და იქ დაბადებული და გაზრდილი თაობებისათვის ამ გრძნობის ჩასანერგად. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის მოღვაწეობა, რომელსაც იგი ისრაელში ეწეოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როგორც იქ არსებული ქართულენოვანი რადიოს დირექტორი და ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „დროშის“ რედაქტორ-გამომცემელი;

– ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც მას ქართული მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა, პირველ ყოვლისა კი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების რჩეულ ნიმუშთა ივრითულ ენაზე თარგმნისა და ისრაელში გამოცემის საქმეში აქვს შეტანილი. ამ თვალსაზრისით მეტად წარმატებული აღმოჩნდა ის შემოქმედებითი თანამეგობრობა, რომელიც მას თანამედროვე ებრაული ლიტერატურის ცნობილ ოსტატთან და მეცნიერთან – ორციონ ბართანასთან აკავშირებს;

– საქართველოსადმი თავისი დიდი სიყვარული ბატონმა რუბენმა იმიტაც გამოხატა, რომ არიელის უნივერსიტეტში, სადაც იგი თავის ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრების შემდეგ მოღვაწეობს, ებრაელ სტუდენტებს მის მიერ შემოღებულ სპეცკურსს – ქართველ ებრაელთა ისტორიასაც ასწავლის. ამასთან, იგი ხელმძღვანელობს ინსტიტუტს, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაც ქართველ ებრაელთა ენის, ისტორიისა და კულტურის კვლევაა.

საქართველოსადმი ბატონი რუბენის სიყვარულთან და მის ქართულ ღვაწლთან დაკავშირებით ნათქვამი ეს პატარა სიტყვა ასეთი მოგონებით მინდა დავამთავრო:

ამ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან არიელის უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტით ყოფნის დროს, რაც ბატონი რუბენის აქტიური ძალისხმევითა და ორგანიზებით განხორციელდა, იგი ერთი კვირის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებია და მთელი ისრაელის ღირსშესანიშნაობანი მოგვატარა.

ბოლოს, სამშობლოში გამოსამგზავრებლად, აეროპორტში თავისი მანქანით ნავიყვანა და როცა თვითმფრინავში ჩასხდომის წინ დაგვემშვიდობა, ჩვენგან მალულად თვალზე მომდგარი ცრემლი მოინმინდა.

როგორც მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ადასტურებს, ეს ცრემლი ჩვენთან განშორების გამო მოგვრილი კურცხალი კი არ იყო, არამედ საქართველოს სიყვარულისა და დაუცხრომელი მონატრების შედეგად გარჩენილი და ცრემლად გარდაქმნილი ნოსტალგია!

ღმერთმა ინებოს, ან უკვე სამოცდაათი წლის რუბენ ენუქაშვილს ებრაული დალოცვით – ას ოცი წლის განმავლობაში არ შემორობდეს თვალზე ორი სამშობლოს სიყვარულის გამომხატველი ეს წმინდა კურცხალი!

#### აპაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

#### აპაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



### ბრძენი დროს ღინ უსწრებს

ჩემო რუბენ! ღრმა პატივისცემის გრძნობით გილოცავ საიუბილეო თარიღს. მრავალი წლებია გიცნობ და თვალს ვადევნებ შენს ფართო ინტერესების სფეროს. დგება დრო განვლილი გზა გავაანალიზოთ და შედეგებს გადავხედოთ: “ჟამი ქვების შეგროვებისა და ჟამი ქვების სროლისა”. ამიტომ მოგმართავ კითხვით: რას ვთვლი ყველაზე მნიშვნელოვნად, რაც გაგიკეთებია?

#### – რას ვთვლი მნიშვნელოვნად, რაც გამიკეთებია? რთული კითხვაა.

ყველაფერი მიყვარს, რაც დამინერია, თუმცა, ცხადია, მესმის, რომ ყველა მათგანი არ არის თანაბარი მნიშვნელობისა.

ძალიან მიყვარს ჩემი სამი სულ პატარა სტატია.

1. ერთი მათგანი გახლდათ ერთ-ერთი ჩემი პირველი მეცნიერული ნაშრომებიდან, რომელიც ე. წ. ხანმეტობის საკითხს მიეძღვნა. ეს სახელწოდება არასპეციალისტის ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ ქართული ენათმეცნიერებისათვის ეს ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა. მეამყეება, რომ იგი ძალიან მოსწონდა ქართული ენათმეცნიერების პატრიარქს აკაკი შანიძეს და მისი სურვილითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა.

2. სულ ოთხგვერდიანია ჩემი სტატია, რომელიც ძველ ქართულ ტერმინ

“დაბეჭდულს” ეხება. სკოლაში ყველანი ვსწავლობდით “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას” და იქ იხსენიება ეს ტერმინი. ჩემს გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ იგი პირდაპირი თარგმანია ებრაული ტერმინისა “ხათუმ” (დაბეჭდილი, ხელმოწერილი). საქმე ის არის, რომ ებრაელთა წმინდა წიგნებს აქვთ “ხათიმა” - წმინდა წიგნად აღიარება, განსხვავებით არაკანონიკური წიგნებისაგან. სწორედ ეს მნიშვნელობა გადმოიტანეს ძველმა ქართველმა სწავლულებმა.

3. 2014 წელს პარიზში იუდაისტიკის საერთაშორისო კონფერენციაზე ნავიკითხე მოხსენება ვნებითი გვარის სპეციფიკური ზმნების შესახებ ქართველ ებრაელთა ენაში, რომელმაც, ჩემდა საამაყოდ, დიდი მონონება დაიმსახურა, შემდეგ ეს მოხსენება მცირე მოცულობის სტატიის სახით გამოქვეყნდა. აქ პირველად არის მითითებული, რომ ქართველ ებრაელთა წრეში დიდად გავრცელებული ცხოვრების სხვადასხვა მხარის მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში მათ (ქართველმა ებრაელებმა) გამოიხატეს და უხვად გამოიყენეს ქართულში არსებული, მაგრამ ნაკლებად ხმარებული შესაძლებლობის ფორმები. მაგალითად, “აბელ არ დეებანება”.

უფრო სერიოზულ საქმეთაგან, რა თქმა უნდა, საამაყოდ მაქვს, რომ 20 წლის განმავლობაში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას საქართველოს ტელევიზიით. ჩემი საქართველოში ცხოვრების პერიოდიდან განსაკუთრებით მეამაყება. რომ 1989 წლიდან პირველად (ან განსვენებულ ცნობილ კომპიუტერისტ პროფ. გია არსენიშვილთან ერთად) საქართველოში დავამკვიდრე ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე კომპიუტერების შესწავლა. მაშინ ეს ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და სასწავლო საათების ფლანგვას უწოდებდა, მაგრამ ცხოვრებამ აჩვენა, რომ ეს გახლდათ მომავლის რეალური მიმართულება.

#### – ბატონო რუბენ, თქვენზე ითქმის: „ისეთი ხიდი გადავი, რომ შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო“. გთხოვთ განაგძოთ.

– საქართველოში ცხოვრების პერიოდიდან ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამოციქულოს (ახალი აღთქმის უმეტესი ნაწილის) სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც ჩემს ან განსვენებულ კოლეგებთან ლ. ბარამიძესა და თ. მეტრეველთან ერთად დავწერეთ გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ 2010 წელს გამოიცა ჩემი ისრაელში ცხოვრების ჟამს.

ჩემს ძირითად მეცნიერულ მიღწევებს მე ისრაელში მოღვაწეობის წლებს ვუკავშირებ, როდესაც ინტენსიურად წარმართე ჯერ კიდევ საქართველოში დაწყებული მუშაობა საქართველოს ებრაელთა მეტყველების შესასწავლად. რა თქმა უნდა, მთავარია თავსილის - ქართველ ებრაელთა მიერ წმინდა წიგნების ტრადიციული თარგმანის გამოცემა და გამოკვლევა, რასაც ჩემი ორი წიგნი მიეძღვნა. რაც მე გავაკეთე, ის მხოლოდ დასაწყისია. იმედი მაქვს, რომ სხვებსაც იქნებ ან მე თვითონ მომიცეს ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა, ან ახალგაზრდა მკვლევარი გამოჩნდეს ვინმე, ვინც ამ საქმეს გააკეთებს. ცალკე წიგნი მიუძღვენი ფესახის ჰაგადის თავსილს - ტექსტსა და გამოკვლევას.

ქართველ ებრაელთა მეტყველების (უფრო ზუსტად, ენის) შესწავლას სხვა გამოკვლევებიც მიუძღვენი. მათი ერთგვარი შეჯამებაა სტატია, რომელიც

ბოსტონში გამოქვეყნებულ ებრაელთა ენების საცნობარო წიგნში შევიდა და ამით აღიარებულ იქნა, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება ერთ-ერთი ებრაელთა ენაა.

— **კაი კაცს ბევრი ეპატიუება, ცუდს – არავინო** – თითქმის არ მას-სენდება ღონისძიება თემში, რომ თქვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე ჩატარებულიყო. რას გამოყოფდით?

— საზოგადოებრივი საქმიანობიდან გამოყოფდი ქართულენოვან ჟურნალ "დროშაში" მუშაობას ჯერ მისი დაუვიწყარი მთავარი რედაქტორის ხაიმ ხუბელაშვილის მოადგილედ, შემდეგ კი მთავარ რედაქტორად.

რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო იყო ქართულენოვან რადიოში მუშაობა. ალბათ, თავის ქება უხერხულია, მაგრამ რომ არა ჩემი თავგანწირვა (მატერიალურ მხარესაც ვგულისხმობ და ფიზიკურსაც), ეს გადაცემები კარგა ხანია დახურული იქნებოდა, დღეს კი მე იქ უკვე პენსიაში ვარ, მაგრამ ჩემს შემცველ ქ-ნ მერი ამიკაშვილს შესაძლებლობა აქვს გააძლიეროს კიდევ მუშაობა. ბევრი შემძინა კადენციამ ისრაელის რადიო-ტელევიზიის მეორე სამმართველოს საბჭოს წევრობისამ (როგორც უხმობენ, დირექტორობისამ).

და მაინც ყველაზე მთავარია ჩემი საუნივერსიტეტო საქმიანობა საქართველოშიც და ისრაელშიც.

24 წლისა ვიყავი, როცა პირველად წარვდექი სტუდენტების წინაშე ლექტორის რანგში და მას შემდეგ ეს არის ჩემი საყვარელი საქმიანობა. საქართველოში ვმუშაობდი თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის

კათედრაზე, წლების განმავლობაში ვიყავი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. პარალელურად ვმუშაობდი პედაგოგიურ ინსტიტუტშიც (სწორედ იქ დავინყე ლექტორობა 1970 წ.).

ისრაელში 1995-2010 წლებში ვმუშაობდი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად.

1999 წლიდან ვმუშაობ არიელის უნივერსიტეტში, ახლა ვარ სრული პროფესორი (ქართულად ცუდად ჟღერს) და კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი.

**ბატონო რუბენ, იუდაიზმში განსწავლულობა სიმდიდრეს და წარმატებას უტოლდება, შრომა და შემოქმედება კი – მონოდებას. აღსანიშნავია, რომ უდიდესი წვლილი შეიტანეთ ნაშრომში „ებრაული ენების ცნობარი“ გამოკვლევით ქართულ ებრაელთა მეტყველების შესახებ (ბოსტონ-ლიდენის გამოცემა). თქვენ ბრძანდებით მეცნიერ-კონსულტანტი ფილმებში: „თუ დაგივიწყო, ირუშალაიმ“ და „ურიათ უბანი“, მთავარი რედაქტორი ბენ ცვის ინსტიტუტის გამოცემის „ებრაელები საქართველოდან“.**

**ულრმესი მადლობა საინტერესო და ვრცელი ინფორმაციისათვის. „გაცნობას წუთი უნდა, გამოცნობას – წლებიო“. გისურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებას.**

**დოდო ჩიკვაშვილი, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი**

## ორ სამოგბლოს შორის...

წინასაუკუნის 80-იან წლებში ტელეეკრანიდან ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე მოუბარი, მკაცრი ლექტორი და გამომცდელი, ლმობიერი და სტუდენტების თანამდგომი დეკანის მოადგილე, აკაკი შანიძის ერთგული მონაფე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ჩემი სადიპლომო ნაშრომის პირუთვნელი შემფასებელი (და დამფასებელიც) — ასეთია ჩემს მეხსიერებაში ბატონი რუბენ ენუქაშვილი...

...ცხოვრება თურმე მართლაც მოულოდნელობებით ყოფილა აღსავსე და, აი, პაპანაქება ზაფხულის ერთ დღეს (დაახლ. ხუთი წლის წინ) ჩემს ელექტრონულ ფოსტაში წერილი ისრაელიდან, არიელის უნივერსიტეტის პროფესორის რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) ხელმოწერითა და ურთიერთთანამშრომლობის შემოთავაზებით. საქმე ეხებოდა ა ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელ ფორმებს ებიან მრავლობითში: „ფვიქრობ, ძალიან კარგი იქნება გავარკვიოთ, რამდენად გავრცელებულია ქართულ სალიტერატურო ენაში (უფრო სწორად, მწერლებისა და პრესის ენაში) ეს მოვლენა, რა პერიოდში, ჩემი მხრივ, მე მთელ იმ მასალას გავაანალიზე, რაც ქართველ ებრაელთა მეტყველებიდან მაქვს, და ეგებ მივიღეთ რაიმე დასკვნამდე, როგორ განჩნდა ეს ფორმები, დიალექტმა მოახდინა გავლენა ებრაელთა მეტყველებაზე თუ, პირიქით, აკაკიმ და კიდევ ვინმე სხვამ გამოიყენა პოეტური საჭიროებისათვის ებრაელთა შორის გაგონილი ფორმა (რაც მე ნაკლებად მგონია)“, — მწერდა მაშინ ბატონი რუბენი (21.07.10).

ჩვენი ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ქართული მწერლობისა და პრესის, დოკუმენტების ენაში, აგრეთვე, დიალექტებში არსებულმა უხვმა მასალამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული ენობრივი მოვლენა გავრცელებული იყო ქართულში

მეოცე საუკუნის დასაწყისამდე და ცოცხალია დღემდე დიალექტებში. ჩვენ მიერ დაზუსტებული მასალების საფუძველზე მომზადდა რამდენიმე მოხსენება და სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, სტატია, რომელიც შევიდა ბატონი რუბენის მიერ ისრაელში ივრითზე გამოცემულ წიგნში სერიიდან „თემი და ენა“ (იერუსალიმი, 2014). მიხდა განსაკუთრებული მადლობა ვუძღვნა მას ნაყოფიერი სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობისთვის!

და კიდევ: გარდა იმისა, რომ ბატონი რუბენის სამეცნიერო ინტერესის სფერო მოიცავს ძირითადად ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, კერძოდ, ძველი ქართული ენის პრობლემურ საკითხებს, იგი არის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ქართველ ებრაელთა მეტყველებისა. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი მონდომება, ამ საქმეში ჩააბას მომავალი სპეციალისტები, დოქტორანტები. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენი ერთობლივი ხელმძღვანელობით ერთ-ერთი დოქტორანტი მუშაობს სადისერტაციო თემაზე, რომელიც ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლას ეძღვნება. ამისთვისაც დიდი მადლობა ბატონ რუბენს!

არა მარტოორი ქვეყნის სიყვარულმა, არამედ საქმემ, მეცნიერულმა ინტერესმა, ქართული ენის ისტორიის საკითხების სიღრმისეული კვლევის მისწრაფებამ „შეამოკლა“ გზა არიელის უნივერსიტეტის პროფესორისთვის „ორ სამოგბლოს“ — ისრაელსა და საქართველოს — შორის. ეს აძლევს მას საშუალებას, რომ კვლავინდებურად აქტიურად მონაწილეობდეს საქართველოში ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ფორუმებსა თუ ღონისძიებებზე.

ვულოცავ ბატონ რუბენს იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ორი ქვეყნის ურთიერთობის საკეთილდღეოდ!

**რუსუდან სალინაძე**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**



**ისრაელის რადიოს ქართული გადაცემების რედაქტორი მერი ამიკაშვილი, რეუვენ ენოხი და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციპი ხოტოველი**

უდიდესია მისი ღვაწლი ორი ისტორიული სამოგბლოს სამეცნიერო საკითხების საკმაოდ უცნობი დეტალების საზოგადოებამდე მიტანის, საერთაშორისო ასპარეზის გატანის საქმეში.

ჰუმანიტარული მეცნიერების მკვლევარი — პროფესორი რუბენ ენოხი ებრაელი უნივერსიტეტის (ტრუმენის განყოფილება), ბენცვის სახელობის კავკასიური ერების საკითხების მკვლევარი (არიელის უნივერსიტეტი) დასახელებულ იქნა რეპატრიანტ პროფესორთა შორის ერთ ერთ წარმატებულ მეცნიერად.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანმა ებრაულ ენაზე ორციონ ბარ-თანასთანასთან ერთად.

პროფესორმა რუბენ ენოხმა მეცნიერულ და ჟურნალისტიკურ მოღვაწეო-

ბას არაჩვეულებრივად შეუთავსა საზოგადოებრივი მოღვაწის სტატუსი.

ჩვენი სამუშაო ურთიერთობა ძირითადად „კოლ ისრელის“ ქართულენოვან განყოფილებაში შედგა, თუმცა ჩვენი კავშირი ებრაული უნივერსიტეტის — ტრუმენის კვლევით ცენტში დაიწყო, სადაც სამეცნიერო კონფერენციაზე „კონფლიქტური ზონები“ პროფესორმა ენოხმა აფხაზეთში და ოსეთში მიმდინარე საკითხებზე ისაუბრა.

მეცნიერის მიერ მაღალ დონეზე მომზადებულმა თემამ არამარტო დამსწრე საზოგადოება მოიყვანა აღტაცებაში, არამედ კონფლიქტოლოგი პროფესორის პროფესორ ლანდაუს დაინტერესება გამოიწვია, აღსანიშნავია რომ კონფერენციას ესწრებოდა

ეს იყო საქართველოს თანამედროვე ისტორიის ყველაზე მტკივნეული — აფხაზეთში კონფლიქტის განხილვა, მსოფლიო დონის მეცნიერების წინაშე, სადაც ბატონმა რუბენმა აშკარად გამოხატა პატივისცემა საქართველოს მისამართით

როგორც ავღნიშნე ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ისრაელის სახელმწიფო რადიო „კოლ ისრაელის“ განყოფილებაში. შედგა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოდან ამოსულთა მოსახლეობის 80% რუსულ ენას ფლობდა ....რაც ნიშნავდა იმას, რომ ქართულ ენოვანი რადიო უნდა დახურულიყო.

2003 წელს თითქმის საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი იანვრის თვეში ქართული რადიოს დახურვა. პროფესორ ენოხმა ყველაფერი გააკეთა გადაერჩინა ქართულენოვანი რადიო დახურვას.

მის საპატივცემლოდ საყვარელი ქართულენოვანი განყოფილება გადარჩა.

2003 მარტის თვეში რადიოში ახალი ცვლილებები დაიწყო და დღეს ნაცვლად ერთის ხუთმეტწუთიანი გადაცემისა, ისრაელის სახელმწიფო რადიოში სამი ხუთმეტ წუთიანი გადაცემა მიმდინარებს,

უახლოეს მომავალში ქართულ ენოვანი რადიოს გადაცემები კვლავ გაიზრდება სადაც ლომის წილი ისრაელში მოღვაწე წარმატებულ საზოგადო მოღვაწეს პროფესორ რუბენ ენოხს მიუძღვის „ვისარგებლებ შემთხვევით და „კოლ ისრაელის“ ათათასობით მსმენელის სახელით ვულოცავთ პროფესორ ენოხს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ წარმატებებს.

**მერი ამიკაშვილი**

**ჟურნალისტი, ქართულენოვანი რადიოს დირექტორი და ხელმძღვანელი**



# რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



თ  
ე  
მ  
ე  
რ  
ა

ამ შაბათს ჩვენ ვკითხულობთ თავს - თერუმბ.თავი იწყება ასეთი სიტყვებით: "და უთხრა ჰაშემმა მოშეს: უთხარი ისრაელის შვილებს,რომ აიღონ ჩემთვის შესანიერი,თითოეულისგან, ვინც მოინდომებს გულით, და აიღეთ შესანიერი ჩემთვის". თორა დეტალურად აღწერს,თუ როგორ უნდა აშენდეს მიშკანი. ებრაელი ხალხი, მართლაც წირავს ყველაფერს, რისი შესაძლებლობა ჰქონდა თითოეულს,რომ აეშენებინათ წმინდა (დროებითი) ტაძარი.

ამ თავში ჩვენ ვხედავთ ორ საინტერესო ფაქტს -არონ ჰა კოდემთან (წმინდა კარადასთან) დაკავშირებით, რომელშიც იწახებოდა თორა.

პირველი - ყველა ზომები რომლებიც მოცემულია და რომლის თანახმად, გაკეთდა არონ ჰა კოდემი არ იყო მთლიანი, არამედ მხოლოდ ნახევარი ერთეული: ორნახევარი ამა სიგრძე, ერთნახევარი ამა - სიგანე და ერთნახევარი ამა - სიმაღლე. აქედან უნდა ვისწავლოთ: იმისათვის, რომ თორა იყო ჩვენთვის და ჩვენთან, უნდა აღვიქვათ ჩვენი თავი, როგორც "ნახევარი", იმიტომ რომ ვინც თვლის თავის თავს "სრულად" და "სრულყოფილად", მას არ შეუძლია მიიღოს თორა.

მეორე - ყველა სხვა ნეტებზე,რომელიც უნდა გაეკეთებინათ მიშკანისთვის, თორა ამბობს: "შენ უნდა გააკეთო მაგიდა"; "შენ უნდა გააკეთო მენორა";ხოლო -არონ ჰა კოდემთანზე წერია "თქვენ უნდა გააკეთოთ", იმიტომ რომ ყველას აქვს წილი თორაში. თორის არის ყველასთვის, და ყველას აქვს თავის წილი მასში. არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ეს არის მხოლოდ მცოდნე ადამიანებისთვის, ბრძენებისთვის,ხაზმებისთვის და რაბინებისთვის, თორა არის ყოველი ჩვენგანისთვის, და ფაქტია,რომ დამტვრეული დაფებიც კი მოათავსეს -არონ ჰა კოდემში. ეს გვასწავლის, რომ ჩვენ ყველას გვაქვს წილი თორაში და ჩვენ ყველას შეგვიძლია ის ვისწავლოთ, თუნდაც ყველა ვერ ვაღწევთ მაღალ დონეს მისი სწავლის დროს. თორა ჩვენია!

ამ კვირაში დაიწყო ადარის თვე.წერია მიშნაში: "როდესაც იწყება ადარის თვე ამრავლებენ სიმხიარულე", ვინც ემსახურება ჰაშემს სიხარულით,მას იმდენად დიდი ძალა აქვს, რომ მისთვის და მისი ძალებით ხდება სასწაულები. გავძლიერდეთ და ვემსახუროთ ჰაშემს სიმხიარულით და დავგიჩქაროს ჰაშემმა მაშიახის მობრძანება -ამენ!

თბილისის რაბი ავრაჰამ ხვოლესის და რაბი გაბრიელ დავარაშვილის სახელობის იეშივის ხელმძღვანელი, სალოცავ „ბეთ რახელის“ რაბინი აჰარონ მდინარაძე

## ლონდონის მერის ხელმოწერა


ლონდონის მერი ბორის ჯონსი შეუერთდა საერთაშორისო ინიციატივას და ხელი მოაწერა მსოფლიოს ქალაქების მერების მონოდეკლარაციას ანტისემიტობის ბრძოლის თაობაზე. ეს კომპანია დაიწყო შარშან ამერიკის ებრაული კომიტეტის თაოსნობით.

დოკუმენტში, რომელსაც მსოფლიოს დიდი ქალაქების მერები აწერენ ხელს დეკლარაციის სხვადასხვა ერის, რწმენის ადამიანთა პატივისცემა ერთმანეთის მიმართ და ნათქვამია, რომ დემოკრატიულ ღირებულებებთან ანტისემიტობაში შეუთავსებელია. ხელმოწერის ცერემონიაზე ლონდონის მერმა ბორის ჯონსმა განაცხადა:

-- ლონდონში ბევრი ებრაელი ცხოვრობს. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ლონდონის განვითარებაში. და მე, როგორც ამ ქალაქის მერი, ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვუდგები. ძალიან კარგია მერები ასე მხარდამხარ რომ განსჯიან ანტისემიტობას. ანტისემიტობის ჩვენს საზოგადოებაში არასოდეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ამ ბოლო თვეების განმავლობაში მერების განცხადებას ხელი მოაწერა აშშ 47 შტატის 309 ქალაქის და ევროპის 30 ქალაქის მერმა. მათ შორის არიან პარიზის, ვენის,ნიცის, ბორდოს და სხვა ქალაქების მერები.

## მარკ ცუკერბერგი — ყველაზე მდიდარი ებრაელი



სააგენტო „ბლუმბერგის“ მიერ მსოფლიოს მილიარდერთა რეიტინგის მიხედვით, „ფეისბუქის“ შემქმნელი 31 წლის მარკ ცუკერბერგი დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარი ებრაელია. იგი 47.5 მილიარდის ქონებას ფლობს და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის მე-6 ადგილზეა.

მდიდრეს ადამიანთა ხუთეულში არიან „მაიკროსოფტის“ შემქმნელი ბილ გეიტსი, ესპანელი ბიზნესმენი ამანსიო რტეგა, ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტი, „ამაზონის“ დამაარსებელი ჯეფ ბეზოსი და ლიბანური წარმოშობის ამერიკელი მენარმე კარლოს სლიმი.

ადრე, ექვსი წლის განმავლობაში პლანეტის უმდიდრეს ებრაელად ითვლებოდა ლარი ელისონი. წელს მან საერთო რეიტინგში მეათე ადგილზე გადაინაცვლა.

## პროგნოზი

3 თებერვალს ისრაელის ქნესეთის ალიისა და აბსოპციის კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ გასული 2015 წელი რეკორდული გამოდგა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ისრაელში არ ჩასულა იმდენი რეპატრიანტი, რამდენიც 2015 წელს — 30 ათასი რეპატრიანტი.

ქნესეთის სხდომაზე პროგნოზიც გამოითქვა: ევროპაში ანტისემიტობის გაძლიერების, რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკური კრიზისის, აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებების გამო, ვარაუდობენ რომ 2016 წელს საფრანგეთიდან ისრაელში ჩავა 10 ათასი რეპატრიანტი ( 2015 წელს ჩავიდა შვიდათას ხუთასი რეპატრიანტი),რუსეთიდან— შვიდი ათასი, (შარშან ჩავიდა ექვსი ათასი), უკრაინიდანაც შვიდი ათასი, თითქმის იმდენივე, რამდენიც შარშან ჩავიდა. სამი ათას რეპატრიანტს ელოდებიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ქნესეთის პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთიდან შარშან ჩამოსულთა შორის მხოლოდ 21% იყო ხანდაზმული ადამიანი. ისრაელში ძირითადად ახალი თაობა და მათი შვილები ჩავიდნენ.



## რელიგიურ ქალთა შრომა

2015 წლის ბოლოს ისრაელის ულტრაორთოდოქსალურ მამაკაცთა რაოდენობამ, რომლებიც სახალხო მეურნეობაში არიან ჩაბმულნი,პირველად სახელმწიფოს ისტორიაში,50% გადააჭარბა.ისრაელის სტატისტიკური ბიუროს ცნობით 2011 წელს 2015 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ ულტრაორთოდოქსალთა რაოდენობა 5% ნაკლები გახლდათ.მაშინ როდესაც შრომაში ჩაბმული გახლდათ ორთოდოქსალ ქალთა 51%, ამჯერად კი მათი რაოდენობა 73.2 პროცენტამდეა გაზრდილი.

აღნიშნავენ, რომ ებრაული მოსახლეობის სხვა კატეგორიებში (არარელიგიური, ტრადიციების ნაწილობრივ დამცველნი, რელიგიური სიონისტები) დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა 86%, ხოლი ქალთა—80%. მერიკის შეერთებული შტატებსა და ევროპაში კი ორთოდოქსალ ებრაელთა 80 % შრომაში ჩაბმული.

## დანი ღანონი: გაეროში ყოველდღიურად ვაწყდები ანტისემიტისგან

საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა კონფერენცია „თანამედროვე ანტისემიტობაში“,რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის წარმომადგენლის დანი ღანონის პრეს კონფერენცია.დანი ღანონმა პრეს კონფერენციაზე თქვა:

— სამწუხაროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მე ყოველდღიურად ვაწყდები ანტისემიტისგან. ნიუ-იორკი ძლიერი ებრაული ქალაქია, მაგრამ საკმარისია გადაჭრათ ერთი ქუჩა, შეხვიდეთ გაეროს შენობაში და სრულიად სხვა სამყაროში აღმოჩნდები. ვამაყობ იმით, რომ გაეროში ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელს, მაგრამ სამწუხაროდ, გაეროში მიმდინარეობს ანტისემიტისგან კულტივირების პროცესი.

ისრაელის ელჩმა გაეროში შეკრებილთ ასეთი სტატისტიკა გააცნო: 2015 წელს გაეროში მიიღო ისრაელის საწინააღმდეგო 22 რეზოლუცი, „მაგრამ მხოლოდ ერთი რეზოლუცია იქნა მიღებული ირანის წინააღმდეგ, ერთი — ჩრდილოეთ კორეისა და არც ერთი სირიის საწინააღმდეგო, ამ ქვეყანაში კი სამოქალაქო ომის გამო 250 ათასი ადამიანი დაიღუპა, სამაგიეროდ, გაეროში ყოველთვის ლაპარაკობენ ისრაელზე, კიცხავენ მას.



### ახალი იუზიბა თბილისში

2015 წლის 13 დეკემბერს-5765 წლის 1 ტვეეთს სასტუმრო „ასტერიონ პალასში“ შედგა კომპანია „ოლამი ჯორჯიის“ პრეზენტაცია. სადაც კომპანიის ადმინისტრაციამ - რაბი აპარონ მდინარაძემ და აპარონ ჯანაშვილმა წარადგინეს მიმდინარე და მომავალი პროექტების გეგმები.



კომპანიის მიზანია შეკრიბოს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ებრაული ფესვებით და ვასწავლოთ მათ ებრაული ენა, ისტორია და ტრადიციები, მოვანყოთ მათთვის ექსკურსიები და სემინარები, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში, გავაცნოთ ისინი ერთმანეთს ოჯახების შექმნის მიზნით.

ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია-ქაშერი საკვები, ამისთვის პირველ რიგში შევქმენით საიტი -www.olamigeorgia.com, სადაც წაროდგენილია ტექსტურად და სურათებით ის ქაშერი პროდუქტები, რომელიც მოიპოვება საქართველოს ბაზარზე, აგრეთვე რაბი ავილეს როზენბლატთან ერთად მზად ვართ შევამოწმოთ ნებისმიერი ქართული წარმოება და მივანიჭოთ მათ შესაბამისი სერტიფიკატები, თუ ისინი აკმაყოფილებენ ებრაული წესების მოთხოვნებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ წლიდან წლამდე იზრდება ისრაელი ტურისტების რაოდენობა საქართველოში.

პრეზენტაციაზე ასევე შედგა თბილისის რაბი ავრაჰამ ზვოლესისა და რაბი გაბრიელ დავარაშვილის სახელობის იეშივის დაფუძნება, რაც აპარონ მდინარაძეს ხელმძღვანელობით, რასაც დამსწრე საზოგადოება ოვაციებით შეხვდა. იეშივის მოსწავლეებს, როგორც ვაჟებს ასევე გოგონებს გადაეცათ საჩუქრები. პრეზენტაცია ხანუქის მე-8 დღის სანთლების ანთებას დაემთხვა, რამაც უფრო გაახალისა სალამო.

დამსწრე საზოგადოების რაოდენობამ 250 კაცს გადააჭარბა, სალამო კი მათმა კარგმა განწყობამ, ცოცხალმა მუსიკამ, ფურშეტმა, კომპანიისაგან და სპონსორების მიერ დაწესებულმა საჩუქრებმა გააღამაზა.

სალამოს სპონსორები იყვნენ - შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანია“, „ჩვენი პური“, „ასტერიონ პალასი“, „ლა ბელლე“, „ნეტაფიმ“, „ლსჯ“, „რუსთაველი პალასი“, საგანამანათლებლო ცენტრი - „თიფერეთ ცვი“, ხაბადის წარმომადგენლობა საქართველოში, სალოცავი „ბეთ რახელი“, საქართველოს ებრაელთა კავშირი.

### მბრავლი არაფორმალური განათლების მე-6 კონფერენცია თბილისში

17-დან 21 იანვრამდე თბილისის ებრაულ სახლში ჩატარდა ებრაული არაფორმალური განათლების მე-6 კონფერენცია. კონფერენციის საერთო თემა - „ურთიერთობები“ - ხალხს შორის, სათემოებს შორის, ებრაელსა და გარემო მომცველ სამყაროს შორის და ა.შ. კონფერენცია ჩატარდა ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტ „ჯოინტის“ ინიციატივით, ისრაელის „ჯოინტის“ წარმომადგენლის, ასაფ კანიელის, ხელმძღვანელობით. საქართველოს მხრიდან ლოგისტიკას ხელმძღვანელობდა „ჯოინტის“ საქართველოს ოფისი, ხოლო სემინარები ჩატარდა თბილისის ებრაულ სახლში, სადაც უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ელენე ბერკოვიჩმა.

დელეგატები ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნიებიდან. რუსეთი იყო წარმოდგენილი მოსკოვის, სანკტპეტერბურგისა, ყაზანის, ვორონეჟის, კემეროვოს, სარატოვის და ბევრი სხვა სათემო ორგანიზაციებით. უკრაინამ წარმოადგინა ხარკოვის, ოდესის, კიევის, ლვოვის, ზაპოროჟიის და სხვა ქალაქების დელეგატები, იყვნენ ბელარუსისა და ყაზახეთის წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან ლექციებში მონაწილეობას იღებდნენ „ხესედისა“ და ებრაელთა კულტურულ საგანმანათლებლო ფონდის საოჯახო და ახლაგაზრული კლუბების ხელმძღვანელები.

კონფერენციის მონაწილეები იყვნენ შერჩეული შემდეგი სამუშაო მიმართულებების მიხედვით: საბავშვო პროგრამები, ახალგაზრდული კლუბები, საოჯახო კლუბები და ბანაკები, ებრაული განათლება. ლექციებსა და მასტერ კლასებს ატარებდნენ ისრაელიდან და რუსეთიდან მონვეული ტრენერები.

კონფერენციის ჩარჩოების მიხედვით, შვიდი პროფესიონალური მიმართულება იყო დაყოფილი რვა მასტერკლასად შემდეგი ძირითადი თემების მიხედვით:

1. კლასიკური ებრაული ტექსტები, პედაგოგები — იური ტაბაკი, დანა პულვერი, სერგეი მიტროფანოვი.
2. ებრაული შემოქმედება. პედაგოგები — ალექსანდრე როხლინი და მიხაილ იახილევიჩი.
3. ებრაული ისტორია. პედაგოგი მაქსიმ გამალი:
4. გამოყენებითი შემოქმედება — პედაგოგი დანა პულვერი, იულია პატრაკოვა:
5. საჯარო გამოსვლა, პედაგოგი — ტანია ბროში:
6. იდიშ კულტურის მარგალიტები, პედაგოგები — ალექს მელნიკოვი და ირის ფინკელმტეინი:
7. სამუშაო მოხალისეებთან



აღნიშნული თემების უდიდესი ინტერესის გამო, კონფერენციის ორგანიზატორებმა დართეს ნება, რათა ლექციები ჩატარებულ თავისუფალ ფორმატში, რაც ნიშნავდა იმას, რომ ებრაული სახლის ყველა თანამშრომელს მიეცა საშუალება დასწრებოდა ყველა ლექციას, რისთვისაც ყველა დაინტერესებული დამსწრე იყო ძალიან მადლობელი.

ლექციებისა და მასტერ-კლასების გარდა კონფერენციის მონაწილეებს ჩაუტარდა ექსკურსია მცხეთასა და მუხრანში. აგრეთვე, სტუმრებმა დაათვალიერეს ძველი თბილისის ძეგლები და ებრაული დიასპორის ისტორიული ადგილები. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა ებრაელთა კულტურულ საგანმანათლებლო ფონდის ვოკალური ჯგუფის „შირ“-ის კონცერტი (ხელმძღვანელი პროფ. ვ.გრიგორიანი). შესრულებულ იქნა სიმღერები იდიშზე, ივრითზე, ქართულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. მონაწილეები შეხვდნენ მუსიკოსებს აპლიდისმენტებით, ხოლო გააცილეს მხურვალე ოვაციებით.

### ისრაელი-შვედეთი — დიპლომატიური უპრეკინება


ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა შვედეთის მთავრობის მაღალჩინოსნებს—მინისტრებსა და მინისტრების მოადგილეებს. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ციპი ხოტოველმა ამ გადაწყვეტილების კომენტარებისას თქვა, რომ „შვედეთი მხარს უჭერს ისრაელში არაბულ ტერორს და ევროპის ქვეყნებში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა მიერ გაჩაღებულ სისხლისღვრას.“

ისრაელის ტერიტორიაზე შვედი მაღალჩინოსნების შესვლა აიკრძალა მას შემდეგ, რაც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგოტ ვალსტრემმა ისრაელი კიდევ ერთხელ დაადანაშაულა — პალესტინელებს სასამართლოს გარეშე უსწორდებათ და დამოუკიდებელ საერთაშორისო გამოძიებას მოუ-

წოდა გამოძიების ბოლო ტვეებში პალესტინელთა დაღუპვის ფაქტები.

როგორც „კურსორი“ იუწყება, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისრაელი გასული წლის დეკემბრის დამდეგსაც დაადანაშაულა პალესტინელთა მიმართ არაპროპორციულ ძალას იყენებს და გამოძიების, სასამართლოს გარეშე ხოცავსო, თუმცა, ისიც აღიარა, რომ ისრაელს აქვს თავდაცვის უფლება და დამოცივი იარაღის გამოყენებით მომხდარი ტერაქტები.

ყოფილება საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა კი განაცხადა: „ერთადერთი, რაც ჯერჯერობით შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრს არ გაუკეთებია, ეს არის ის, რომ პალესტინელებთან ერთად პირადად არ მონაწილეობს ისრაელელების ხოცვაში. იმედს ვიტოვებთ ასეთი რამ არ მოხდება.“

<p><b>დაფუჟნეპელი და</b> <b>გამომცემელი:</b> გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p><b>რეგისტრირებულია</b> ქ. თბილისის ათაფინდის რაიონის სასამართლოს შიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p><b>რედაქტორი</b> <b>გურამ ბათიაშვილი</b> ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p>
--	--	---